მეცნიერების ცენტრალური პრობლემის — ადამიანის, როგორც შემეცნებისა და შრომის სუბიექტის შესწავლა, სისტემური მიდგომასა და კომპლექსურ დამუშავებას მოითხოვს. ეს განაპირობებს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მჭიდრო კავშირის აუცილებლობას, რაც ჩვენში არსებობად მხოლოდ ელის პრაქტიკულ განხორციელებას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განსაკუთრებით გაძლიერდა და გაღრმავდა ურთიერთდინება საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებას შორის.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელ ნაწილთა ერთიანობა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინტეგრაცია, აუცილებელს ხდის მათ მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციას. ეს საშუალებას ერთად, ყოველთვის ვერ პოულობს სათანადო განხორციელებას.

საანგარიშო მოხსენებაში მოხსენიება მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის სოციალური პორტრეტი. საზოგადოებამცოდნეებმა უნდა განაგრძონ მუშაობა ამ მიმართულებით, რათა „ეს სოციალური პორტრეტები კვლავაც იქნებოდეს და იხეკუნებოდეს“.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემა. იგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჩვენში, სადაც წლების მანძილზე შექმნილა რთულმა ვითარებამ დიდად ავნო ახალგაზრდობას, მის სულსა და შეგნებას, გამოიწვია ერთგვარ ღირებულებათა გადაფასება და შეხედულებათა ორიენტაციის შეცვლა.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობასთან მუშაობას, მას უდიდეს პოლიტიკურ და ზნეობრივ ამოცანად მიიჩნევს. პარტიამ თვით მოკიდა ხელი ახალგაზრდობის პრობლემას. ახალგაზრდულ მოძრაობაში წარმოშობილი ტენდენციების გარკვევა, მისი სოციალური აქტივობის კანონზომიერების შესწავლა, სტუდენტობის სპეციფიკის; თავისებურების დაფვა, საზოგადოებაში მისი ადგილისა და როლის გაშუქება ჩვენი უმნიშვნელოვანესი საქმეა. მის შესრულებას მხოლოდ ახლახან შეუდექით.

საზოგადოებრივი მეცნიერების ამოცანაა ამხილოს ბურჟუაზიული იდეოლოგია, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას წარსულის გადმონაშთებისადმი შეურიგებლობა, განუმარტოს მას, რომ ჩვენთვის უცხოა, როგორც ასკეტური, განმათანაბრებლური კომუნიზმი, ისე ფილისტერული პრაქტიციზმი და მომხმარებლური კომუნიზმი. უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ახალგაზრდობის აღსაზრდელად საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებული დადგენილება მოითხოვს, რომ სპეციალისტთა სწავლებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეუთმოთ მათი პროფესიული მომზადების ხარისხს, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას.

თანამედროვე მეცნიერება ახალ ამოცანებს უყენებს აღზრდის სისტემას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაბამისად უნდა გადაწყდეს თუ რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ. შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანის აღზრდა საჭიროებს განათლების სისტემის გარდაქმნას იმ მიმართულებით, რომ სტუდენტი იყოს არა იმდენად სწავლის ობიექტი, რამდენადაც სწავლის სუბიექტი.

უმაღლესმა სკოლამ სტუდენტს უნდა შეაყვაროს სწავლა. კაცობრიობის ზეიმიანად დაუცხრომელ სვლას არ ჩამორჩება მხოლოდ ის, ვინც სწავლისაკენ ისწრაფის და დაუსრულებლად მოგზაურობს ცოდნის სამყაროში. ეს მასწავლებელს აკისრებს მოვალეობას დაეხმაროს ახალგაზრდობას გამოიმუშაოს გემოვნება, ცნობისმოყვარეობა, შემოქმედებითი აზროვნება. საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა, რომ **„ახალგაზრდობის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა მზა დასკვნების დაზეპირებით კი არ ამოწურებოდეს, არამედ ეხმარებოდეს დამოუკიდებელ აზროვნებაში, საარსებო პრობლემების გადაჭრაში, იმაში, რომ ხედავდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებსა და პერსპექტივებს, შეურიგებლად ებრძოდეს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას“.**

ეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებისაგან მოითხოვს მაღალ თეორიულ მომზადებას, პოლიტიკურ სიმწიფეს, მორალურ სიწმიდეს. აღმზრდელი თვით უნდა იყოს იდეურ-ზნეობრივად აღზრდილი.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში წარსულის გადმონაშთების მატარებელნი არიან ანა კლასები, სოციალური ჯგუფები, არამედ ცალკეული მოუმწიფებელი ადამიანები, მიუხედავად იმისა თავისი სოციალური მდგომარეობით მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას თუ ინტელიგენციას მიეკუთვნებიან. წარსულის გადმონაშთების მატარებელნი ჩვენს მეცნიერთა შორისაც გვხვდებიან. სპეციფიკური გადმონაშთის სათავე უნდა ვეძიოთ ცალკეულ პიროვნებათა ინდივიდუალურ ცნობიერებაში, მათ ფსიქოლოგიაში, რომელიც ყალიბდება ცხოვრების, აღზრდის, ტრადიციის, წეს-ჩვეულების, იდეოლოგიის ზემოქმედების თავისებურ კონკრეტულ პირობებში.

ადამიანის შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების დაძლევის კომპლექსური გამოკვლევა და თეორიული გაშუქება საზოგადოებრივი მეცნიერების მნიშვნელოვანი ამოცანაა. მან უნდა გაარკვიოს წარსულის გადმონაშთების ფესვები, მიზეზები, სათავე და დასახოს მათი დაძლევის საშუალებანი.

ყრილობაზე აღინიშნა „საზოგადოებრივ მეცნიერებათა, განსაკუთრებით ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ჩამორჩენა“. სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პირობებში, როცა საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენების შეღამაზება ხდებოდა, თეორია მოწყდა პრაქტიკას, დამკვიდრდა ვიწრო პრაქტიციზმი, დაირღვა პარტიულობისა და მეცნიერულობის პრინციპი მეცნიერებაში.

ყრილობაზე სამართლიანად იყვნენ გაკრიტიკებული საზოგადოებათმცოდნეები, რომლებიც გატაცებულნი არიან „ისტორიზმით თანამედროვეობის პრობლემების საზიანოდ“. საზოგადოებათმცოდნეები, „ვეფერებიან მუშაობის რომ არიან დაჩვეულნი, გაურბიან სიძნელეებს და გადასულ ამებს მეტ უყურადღებას აქცევენ, ვიდრე თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების მეცნიერულ კვლევას.

იდეოლოგიურ მუშაობაში, საზოგადოებრივ მეცნიერებაში მტკიცედ უნდა დვიცვათ ლენინური დებულება პარტიულობის, კლასობრიობის, მეცნიერების ობიექტურობის შესახებ. მარქსიზმის უძლეველი ძალა სწორედ იმაშია, რომ იგი „უმკაცრეს და უმაღლეს მეცნიერულობას.. აერთებს რევოლუციურობასთან“. (ლენინი).

პარტიულობის, მეცნიერულობის, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის ლენინური პრინციპების საფუძველზე მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მეცნიერული საქმიანობის ეფექტურობის და ხარისხის ამაღლება — ასე განსაზღვრა ყრილობამ იდეოლოგიური მუშაკების, საზოგადოებამცოდნეების ამოცანა ახალ, მეათე ხუთწლედში — ეფექტურობისა და ხარისხის ხუთწლედში.

საქართველოს კომპარტიამ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩამოაყალიბა სოციალისტური საზოგადოების მართვის ძირითადი პრინციპები, განსაზღვრა მათი პრაქტიკული გამოყენების ამოცანები რესპუბლიკაში.

ადამიანთა მოქმედება ობიექტური კანონების ცოდნას ეფუძნება. ობიექტური კანონები ადამიანთა მოქმედებით ხორციელდება. სოციალისტური საზოგადოების მეცნიერულმა მართვამ უნდა უზრუნველყოს ადამიანთა საქმიანობის შესაბამისობა ობიექტურ კანონებთან, განვითარებულ საზოგადოების განვითარების ტენდენციათა და მომწიფებულ მოთხოვნილებათა განხორციელებისაკენ წარმართოს ადამიანთა საქმიანობა.

აქ განსაკუთრებით დიდია საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი, რადგან სწორედ ისინი ქმნიან „საზოგადოების განვითარების მეცნიერულ საფუძველს“. მეცნიერული კომუნიზმი - მოწოდებულია შეიარაღოს სუბიექტური ფაქტორის ადგილი და როლი ისტორიულ პროცესში და გაარკვიოს მრავალი მასების შეგნებული, გეგმაზომიერი მოქმედების საშუალებები და მეთოდები, პრინციპები და ამოცანები. ეს ხდის მეცნიერულ კომუნიზმს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მართვის ზოგად თეორიად და განსაზღვრავს მისი კვლევის მიმართულებას.

უმაღლესმა სკოლამ, საზოგადოებრივმა მეცნიერებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სახალხო მეურნეობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დამკვიდრებაში, ამავე დროს უზრუნველყოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის მეცნიერული ორგანიზაცია.

კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული მათ იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე. ეს განპირობებს საზოგადოებათმცოდნეთა ამოცანას — ღრმად დაეუფლონ იდეოლოგიური უზრუნველყოფის მეცნიერებასა და ხელოვნებას. იდეოლოგიური უზრუნველყოფა მაშინ იქნება ეფექტური, როცა იგი დაეფარება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას და უნარს — შემოქმედებითად „შეეისწავლოთ, გამოვიხახოთ“ შრომის კონკრეტული შედეგების მოპოვების ქმედითი ხერხები და მეთოდები.

დიდი ხანია ცნობილია, რომ მეცნიერება ვერ განვითარდება კრიტიკის თავისუფლებისა და აზრთა ბრძოლის გარეშე. ლაპარაკია კეთილმოსურნე, კეთილშობილურ კრიტიკაზე. და, მართლაც, „კეთილშობილურად გაკრიტიკება ბოროტად კეთილშობილურ ტაკს შეუძლია“. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ სამეცნიერო კოლექტივში არ არის შექმნილი ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ განხორციელებს სკკპ XXIV ყრილობის მითითებას, რომ მეცნიერულ მუშაობაში სუფევდეს „ნამდვილი შემოქმედებითი ვითარება, გაბედული ძიების, ნაყოფიერი დისკუსიების, ამხანაგური მომთხოვნელობის ატმოსფერო“.

ყრილობაზე ითქვა, რომ ცენტრალურ კომიტეტს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკები თავის უახლოეს თანამშრომებად მიიჩნია, და, დიდი იმედი აქვს, რომ ისინი საფუძვლიანად დაამუშავებენ თანამედროვეობის თეორიულ პრობლემებს, ღრმად გაუშუქებენ იმ ამოცანებს, რომლებსაც წყვეტს საქართველოს კომპარტია. საქართველოს საზოგადოებამცოდნენი შეასრულებენ პარტიის ამ განაწყენს.

ჩვენ ვდგგავართ სკკპ XXV ყრილობის კარიბჭესთან. ყრილობას მოუთმენლად ელის პარტია და ხალხი, პროგრესული კაცობრიობა. იგი ახალ სიტყვას იტყვის, დასაბამს მისცემს კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპს, გაამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და დასახავს კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდ პროგრამას.

ლ. გორგილაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

„კომუნისტის“ პრესტიჟული გამოკვლევის შედეგი

კ ვ ლ ა ვ მოლიკული გზით

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომი

„კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილის — „კვლავ მოლიპული გზით“ — პასუხად პარტიის სოხუმის რაიკომი გვწერს: წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უკანონო გატანის წინააღმდეგ ბრძოლაში უმოქმედობისათვის სოფელ თავისუფლების სახოფლო-საბჭოს თავმჯდომარეს შ. მაისურაძეს და ამავე სახოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარეს მ. ფაფაზიანს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ. კანონის დარღვევაში მხილებულნი მინასიანი და კანდაკჩიანი გაირიცხნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან. კელასურიისა და ოდიშის სახოფლო საბჭოების თავმჯდომარეები გ. ჭელარაკავა და პ. ჩულეა გაფრთხილებულნი არიან, ხოლო შრომის სახოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლიპარიტა განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

სოფლების — შრომის, ოდიშისა და კელასურის მცხოვრებლებს ბ. ქარდავას, მ. რეხვიაშვილს, ს. ბენდელიანს და ა. კოპალიანს კოლმეურნეობების საერთო კრებებზე საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუტანეს და გაფრთხილეს, თუ კვლავ დარღვევენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინას, გაირიცხებიან კოლმეურნეობებიდან და ჩამოერთმევათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

„ვისია ეს ბალღები?“

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომი

„კომუნისტში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილი, „ვისია ეს ბალღები“, ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ლლონტმა რედაქციას აცნობა, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები ხინამდვილეს შეეფერებენ.

პარტიის რაიკომის ბიუროომ დაავალა ღრმადელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექციას გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები ყველა დატაცებული, არასწორად და უკანონოდ გაცემული მიწების მეურნეობის საზოგადოებრივ ფონდში დაბრუნებისათვის.

მასლების საკოლმეურნეო მიწების გაფლანგვა-განიავებისა და დატაცების შესახებ გადაეცა რაიონის პროკურატურას დამნაშავეთა ხისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

შესაბამის პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ განიხილონ ღრმადელის კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარეების შ. ვასაძისა და რ. გუჯაბაძის, აგრეთვე სკკპ წევრების ხ. კუპრაძის, ხ. ლლონტის, რ. მეფარიშვილის, გ. ჯოჯუას, მ. ხარჩილავას პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი უხეში დარღვევების გამო.

მშრომელთა დეპუტატების ღრმადელის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ხ. კვერენჩხილაძეს მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე უყურადღებობისათვის, რამაც ხელი შეუწყო სპკოლმეურნეო ფონდის მიწების გაფლანგვა-დატაცების მასობრივ შემთხვევებს, გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

მიწათსარგებლობის კანონის გაუხორციელებაზე უყურადღებობისათვის და დარღვევების აღსაკვეთად ზომების მიუღებლობისათვის მშრომელთა დეპუტატების რაიონის აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილ უფროსს დ. ცინცაბაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ღრმადელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ყოფილ მდივნებს ა. სარიშვილსა და ტ. ესართიას — საყვედური.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲘ

შთამაგონებელი პერსპექტივები

მეცხრე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის მიერ მოპოვებული უდიდესი წარმატებანი, პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ ჩამოყალიბებული გრანდიოზული ამოცანები ახარებს და აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის მრავალ მეგობარს საზღვარგარეთ. ამას მოწმობენ გამოხმაურებანი, რომლებიც ამ დღეებში მოვიდა მსოფლიოს ყოველი კუთხიდან.

ᲯᲐᲠᲐᲜᲐ. სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების მთელმა მსვლელობამ, აღნიშნავს **„გზნეი „ვრანმა“**, კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის ურღვევი ერთობა, ის, რომ ისინი მთლიანად უჭერენ მხარს და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით საბჭოთა ხელმძღვანელობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის დამახასიათებელი ნიშანია დასახული პროგრამის შემკვიდრეობითობა, წერს **„ლუმანიტე“**. მეათე ხუთწლედის, ისევე როგორც მეცხრე ხუთწლედის უპირველესი ამოცანა გახდება მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აძაღლება. მეათე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ლოზუნგებია, წერს შემდეგ გაზეთი, ეფექტიანობა და ხარისხი. ხარისხი — ეს არის პროგრესის პირობა, ეკონომიის მუდმივი წყარო, ასკვნის „ლუმანიტე“.

ᲑᲝᲜᲝ. ცნობილმა დასავლეთგერმანელმა პუბლიცისტმა **ფრიდრიხ ჰიტცერმა** გამოაცხადა: „საბჭოთა ხალხის მიერ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში მოპოვებული წარმატებანი განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ეკონომიკის სიძნელეებს, კულტურის დაქვეითებისა და ხვალინდელი დღის მუდმივი ურწმუნობის ფონზე, რომლებიც განსაზღვრავენ კაპიტალისტურ ქვეყნებში მილიონობით ადამიანის ცხოვრებას“. ფ. ჰიტცერმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კომუნისტების XXV ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებებს შრომიდისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, რომლებიც პოზიტიურ გავლენას მოახდენენ საერთაშორისო პოლიტიკური განვითარების მთელ მსვლელობაზე. საბჭოთა კავშირის ხალხები, განაცხადა მან დასასრულ, ახალ დიდებულ საქმეთა ზღურბლზე არიან.

ᲓᲔᲚᲘ. „რაც უფრო ახლოდგება სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღე, მით უფრო მკაფიო და ნათელი ხდება მისი საერთაშორისო მნიშვნელობა“, — წერს ყოველკვირეული **„ნიუ ეიჯი“**. საბჭოთა დიდი მიღწევებით ეგებება ამ მოვლენას. წარმატებით შეასრულა რა მეცხრე ხუთწლიანი გეგმა, მან მიაღწია ახალ მაღნებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. პროგრესული კაცობრიობა, ხაზს უსვამს ყოველკვირეული, ახალ იმედებს უკავშირებს სკკპ მომავალ ყრილობას. ეს არის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების იმედები დღეს დიდად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან, მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკასთან. (საკდესი).

ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ

ᲕᲔᲜᲔᲕᲐ. (საკდესი). აქ გაიხსნა განიარაღების კომიტეტის საგაზაფხულო სესია. კომიტეტის ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნა სესიის გახსნაზე გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. როშჩინმა, ის არის, **რომ შეათანხმოს საერთაშორისო შეთანხმების ტექსტი, რომელიც გათვალისწინებს მის მონაწილეთა ვალდებულებას — არ შეიმუშაონ და არ აწარმოონ მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეობანი და ახალი სისტემები, აგრეთვე არ წაქეზონ რაიმე საქმიანობა ამ მიმართულებით.**

შესაბამისი შეთანხმების პროექტი საბჭოთა კავშირმა წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, და მისი რეზოლუციის შესაბამისად იგი გადაეცა განიარაღების კომიტეტს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ შეთანხმების ეს პროექტი საფუძვლად დაედება მოლაპარაკებს ოთხ წარმოების ახალ საშუალებათა და სისტემათა შექმნისათვის მეცნიერულ-ტექნიკური იდეოლოგიისა და მიღწევების გამოყენების დარგში შეჯიბრების შეწყვეტის შესახებ.

განიარაღების კომიტეტი განაგრძობს იგრეთვე იმ საკითხის განხილვას, რომ აიკრძალოს გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა საბრალო ან სხვა რომელიმე მტრული გამოყენება.

კომიტეტმა უნდა განიხილოს აგრეთვე განიარაღების მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მშვიდობიან ატომურ აფეთქებათა საკითხი.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ჩინური წარმოების ტყვია-წამალი, რომელიც ხელთ იგდეს მპლას შეიარაღებულმა ძალებმა.

ბტა-ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო საქმეთა კომისიამ მოიწონა შესწორება კანონპროექტისათვის უცხოეთისადმი სამხედრო დახმარების შესახებ, რომელიც კრძალავს ანგოლისათვის ამერიკის ყოველგვარ სამხედრო დახმარებას კონგრესის წინასწარი თანხმობის გარეშე.

როგორც ცნობილია, წინათ სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ მიიღეს გადაწყვეტილება აიკრძალოს შეერთებული შტატების მიერ ანგოლის ფნლასა და უნიტას დაჯგუფებების დაფინანსება.

კომისიის მიერ ახლახან მოწონებული შესწორება უფრო ფართო ხასიათისაა და ეხება არა მთავრობის კონკრეტულ მოთხოვნას ომამბოხე დაჯგუფებების მხარდასაჭერად გარკვეული თანხის გაღების შესახებ, არამედ საერთოდ ამერიკის მომავალ უშუალო ან არაპირდაპირ დახმარებას ანგოლისადმი.

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

ᲚᲣᲐᲜᲓᲐ. (საკდესი). ჩრდილოეთის ფრონტზე მოქმედმა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ჯარებმა შეუტევარი ბრძოლების შედეგად სან-სალვადორის შემდეგ აიღეს ქალაქი პედრუ-დუ-ფეიტიკუ. ამ ქალაქის განთავისუფლების მომენტიდან სახალხო არმია კონტროლს უწევს ქვეყნის თითქმის მთელ ჩრდილოეთ საზღვარს. აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთის მიმართულებებით, სადაც ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ჯარები კვლავ ინარჩუნებენ ინიციატივას.

ᲗᲐᲛᲑᲝᲕᲘ. (საკდესი). უამბოს ათასობით მეხოვრემა მიიღო მონაწილეობა საზეიმო მიტინგში, რომელიც მიეძღვნა ინტერვენტებისა და დაქირავებულებისაგან ამ ქალაქის განთავისუფლებას.

მტერი ჯერ კიდევ არ არის გაძევებული ანგოლის მთელი ტერიტორიიდან, მაგრამ საჭიროა ახლავე განსრულიელდეს მაქსიმუმი ღონისძიებანი, რათა აღვადგინოთ ომით დანგრეული მეურნეობა, განაცხადა მიტინგზე მპლას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ლუსიო ლარამ. საჭიროა, ხაზი გაუსვა მან, სასწრაფოდ აღვადგინოთ ოკუპანტების მიერ დანგრეული საცხოვრებელი სახლები, გავხსნათ სკოლები და საავადმყოფოები.

ᲐᲜᲒᲝᲚᲘᲡ სახალხო რესპუბლიკის ეროვნული არმიის ჯარები განაგრძობენ ქვეყნის ტერიტორის განთავისუფლებას დაქირავებულთა, გამთიშველური ჯგუფებისა და სამხრეთაფრიკელ რასისტთა ბანდებისაგან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ჩინური წარმოების ტყვია-წამალი, რომელიც ხელთ იგდეს მპლას შეიარაღებულმა ძალებმა.

ᲛᲐᲝᲘᲖᲛᲘᲡ ᲜᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲚᲘᲛᲐ, (საკდესი). პერუს გამთიშველი პოლიტიკური დაჯგუფების, ეგრეთ წოდებული „კომუნისტური“ („მარქსისტულ-ლენინური“) პარტიის თავისთავად დაშლამ ნამდვილი ლაბვარი ჩასცა მაოისტთა ძირგამომთხრელ საქმიანობას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, განაცხადა პერუს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხორხე დელ პრადომ.

ეს განცხადება მან გააკეთა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნული დაჯგუფების ამასწინანდელ დაშლასთან დაკავშირებით, რომელიც მაოისტთა საქმიანობის გაკვლევით შუა სამოციან წლებში გამოეყო პერუს კომუნისტურ პარტიას.

ბეკეინელ ლიდერთა ცდებს, რომ მაოიზმი გადაიქცეს საერთაშორისო ძალად, დაამახინჯონ მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრება, და შეასუსტონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების იდეოლოგიური საფუძველი, თქვა პერუს კომპარტიის ხელმძღვანელმა, ახდენა არ უწერიათ.

თავის საქმიანობაში, განაგრძო ხორხე დელ პრადომ, მაოისტთა მომხრეები ფაქტიურად შეეკონენ ოლიგარქიას, იმპერიალიზმსა და სხვა კონტრრევოლუციურ ძალებს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ პერუში მიმდინარე რევოლუციურ პროცესსა და ძირეულ გარდაქმნათა განხორციელებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, თქვა პერუს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, რომ გამთიშველ დაჯგუფებას არ ჰქონია ზუსტი პროგრამა და არ სარგებლობდა ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით. პერუს ეგრეთ წოდებული „კომუნის

თემა — საზოგადოება

ახალი სპექტაკლი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე

ჩვენი პარტიის XXV ყრილობას მიუძღვნა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი ახალი სპექტაკლი, რომლის პრემიერაც 18 თებერვალს შედგა.

შესრულდა ს. ცინცაძის კანტატა „გზა დიდებისა", რომელიც კომპოზიტორმა სპეციალურად ამ თარიღისათვის შექმნა პ. გრუზინსკის ტექსტზე სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

კანტატა სამთავრიანია — „მეგატანე ბრძოლებისა", „ობელისკები" და „ირმის ნახტომი". კანტატა შესრულეს სოლისტებმა: საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა, მ. ადამაძემ, ე. გეწაძემ, ლ. კალმახელიძემ, ჯ. მდივანმა, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტებმა ა. ფიოლიამ, ოპერის თეატრის, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების, კონსერვატორიის სტუდენტთა და საოპერო სტუდიის გაერთიანებულმა გუნდმა და ოპერის თეატრის სიმფონიურმა ორკესტრმა. დირიჟორი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვ. ფალიაშვილი. ქორმეისტერები: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხროიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. დანელიანი, გ. ბოლაშვილი, ი. დადიანი, გ. მუნკიშვილი, ა. ბეჟანიშვილი; კონცერტმეისტერი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. სალაყაია.

შემდეგ შესრულდა ო. თაქთაქიშვილის „ქორეოგრაფიული სიუიტა", რომელიც 5 ნაწილისგან შედგება. აი რა გვითხრა ამ ბალეტის დამდგმელმა ბალეტმეისტერმა გ. ალექსაძემ:

— კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა სპეციალურად ჩვენთვის შექმნა ეს ნაწარმოები. მასში შეიტანა ნაწყვეტები მსმენელთათვის უკვე კარგად ცნობილი „გურული სიძღერების ციკლიდან", „ბორუმი, „საგალობელი დიღუპულ გმირზე", თვით ის ფაქტი, რომ ბალეტი იდგმება მისთვის უჩვეულო მასალაზე, მეტად საინტერესოა.

საბალეტო დადგმაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. მითაიშვილი, სოლისტები ვ. ლაფერაშვილი, თ. ჯაფარიძე, პ. ჩხიკვიშვილი, ო. ბერიძე, ვ. შეხოეცოვი, გ. ტაბახმელაშვილი, ა. მაჭარაძე, გ. აბესაძე, ხ. მაღალაშვილი,

ბალეტი მხატვრულად გაფორმა გ. ალექსი-მეახიშვილმა, დირიჟორობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ახმეტფაჩაშვილი,

ძესმე განყოფილებაში იმავე გუნდისა და ორკესტრის თანხლებით აჟღერდა გ. სვიროიდოვის „პათეტიკური ორატორია" ბანისა, გუნდისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (სოლისტები — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები თ. გურგენიძე და თ. ლაფერაშვილი). დირიჟორის პულტთან იდგა ვ. ფალიაშვილი. კონცერტმეისტერი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ტ. დუნენკო.

ზეიმურად, ზეაწეული პათოსით ჟღერდა სამმობლოს ორივე საგალობელი: ს. ცინცაძის „გზა დიდებისა" და გ. სვიროიდოვის „პათეტიკური ორატორია". დიდი წარმატება ხვდა ო. თაქთაქიშვილის „ქორეოგრაფიულ სიუიტას".

ნ. სვანიშვილი.

კვლავ შეხვდნენ მაყურებელს

ცხინვალი. (საკ. კორ.). ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კოტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური და ქართული დასები კვლავ წარადგენენ მაყურებლის წინაშე. ახალი თეატრალური სეზონი ოსურმა დასმა გახსნა ვლ. კურტიდის სამმოქმედებიანი მუსიკალური კომედიით — „ჯერ დაიბოღნენ, მერე იქორწინეს", ხოლო ქართულმა დასმა — ა. ოსტროვსკის კომედიით — „შინაურები ვართ, მოვრიგდებით".

მალე ორი მაყურებელი ნახავს პრემიერას — ადგილობრივი ავტორის ვლადიმერ ვანეევის ისტორიულ პიესას „ყუბათის რძალს". სპექტაკლს დგამს რეჟისორი მ. მაძაევი; ქართული დასი კი პრემიერად წარმოადგენს ვ. კანდელაკის „სოკრატეს" (რეჟისორი უ. მინდიაშვილი) და ი. ვაკელის ისტორიულ დრამას „შამილს" (რეჟისორი — სელოვნების დამსახურებულ იმოდვაწე გ. ღაღიძე). დაიდგმება აგრეთვე გ. პაპიაშვილის დოკუმენტური პიესა „რწმენა" და შ. ფანიშვილის პიესა „თეთრი მგრცხვენია".

გ. თედეევი.

რაც თვალს არ გამოეპარა

ბახტრიონ გალავანსაო...

ეს ოდესმე პანკისისკენ ალაზნის ხეობაში ძოსვდით, ხიდს რომ გახვალთ, გზა ერთ შემაღლებულ ღელამაზ გორაკთან მიგიყვანთ. აქ ბახტრიონის დიდებული ციხეა...

ამ ადგილმა ცოტა როი შემოგვინახა იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს თავი.

ბახტრიონზე დღემდე შემორჩენილი ეკლესიები და ციხეები ადიდებენ და განახლებას მოითხოვს. უამისოდ ბახტრიონი ისტორიულ მნიშვნელობას დაკარგავს და უბრალო ადგილს უფრო დაემსგავსება, ვიდრე ჭირნახად მიწას.

სოფელი ბახტრიონი ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე რომ არსებობდა, ბევრისთვის კარგად არის ცნობილი. ალბათ არახელსაყრელი პირობების გამო აქაური მცხოვრები სხვა სოფლებში გადასახლებულან და მას შემდეგ ბახტრიონი პირუტყვის საძოვრად გადაიქცა, გარანგდა.

ერთხანობას დაინტერესდნენ ამ ძველის მოვლა-პატრონობით და ხრიოკი გორა ტყე-პარკად აქციეს — დარგეს ხე-მცენარეები, ბოლოს ობელისკიც აღმართეს.

ობელისკის აკვარეიანობაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, გვიანია, მაგრამ ყოფილ მოსახლეთა კარმიდამოს ასე დატოვება არაფერს მატებს ბახტრიონის დიდ ისტორიას.

აქ არც სამახსოვნო გზაა სახარბიელო.

შესასვლელთან გამოყოფილია მანქანების დასაყენებელი ადგილი, მაგრამ იქ ვინ ჩერდება! ზოგიერთი ობელისკამდე მისვლასაც არ სჯერდება, ნარგავებს არანაგებს. ზოგი იქვე აწყობს ღრეობას, ამსხვრევს ჭიქებს, ბოთლებს და ობელისკის ძირში ყრის, ქალაღდის ნაგლეჯებსა და საჭმლის ნარჩენებს ადგილშვე ტოვებს.

გული გეტკინებათ, როცა ძეგლების კედლებს შესდავთ, რა ფერისაა, ვერც კი გაარჩევთ, გუმაათამდე იმდენი ნაჯღაბნია. რა სახელს არ ამოიკითხავთ აქ! სამარცხვინოდ მოჩანს საქონლის ბოსლებად ქცეული ძეგლები. ოვით ობელისკის დაფაც კი დაუკაწრავთ.

ერთი სიტყვით, ეს ისტორიული ადგილი სამდვილად რომ უპატრონოდ არის მიტოვებული.

თვითეულ ჩვენგანს, ვისაც გვსურს წინაპართა ნაომარ-ნაღვაწი ადგილის ხილვა, უფლება არა გვაქვს ასე უდიერად მოვეპყრათ ისტორიულ ძეგლებს. ამიტომ ახმეტელმა ახალგაზრდობამ და ყველა ჩვენგანმა ბახტრიონისთვისაც უნდა მოვიცალოთ, შევაკეთოთ, გავალამაზოთ და დავიცვათ იგი. ეს სწორედ რომ სამდვილი მამულიშვილური საქმე იქნება.

ბაშ მივხედოთ, შევინარჩუნოთ სიტოცხლე ბახტრიონს.

ი. ჯაფვაძე.

ახმეტა.

ბლდანური ბროლი

წლევანდელ ცეკავშირის ბლდანის საწარმოო კომბინატი 18 დასახელების ბროლის ნაწარმს გამოუშვებს.

ბროლის ნაწარმი ახალი სახეობის პროდუქციაა, რომელსაც კომბინატი უშვებს. იგი დიდი მოწონებით სარგებლობს.

სურათებზე: ზემოთ — ხელმარჯვე ოსტატი მეალმასე კომკავშირელი გივი ხმიადაშვილი; ქვემოთ — ბლდანური ბროლის ნაწარმი.

ა. რუსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის" ფოსტიდან

მკითხველმა მოგვწერა

□ **ბათუმი.** ზღვისპირა პარკის მახლობლად ორასადგილიანი კეთილმოწყობილი ავტოსადგომი აშენდა.

იგი მომსახურებას გაუწევს ტურისტებსა და ქალაქის ავტომოყვარულთ.

მ. გიოლრგაძე.

□ **ქუთაისი.** განათლების მუშაკთა სახლთან არსებულმა მოზარდმაყურებელთა სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. იმერელის პიესა „მაპატიე, მასწავლებელო".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ალ. ჩიქვინიძემ.

ქ. ხაზარაძე.

□ **ტყიბული.** ხაწირის სახოფლო კლუბში კომკავშირული ორგანიზაციის ღია კრება გაიმართა.

„სად წავიდეთ სამუშაოდ?" ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობდნენ საშუალო სკოლის მოსწავლე-კომკავშირელები. თხუთმეტმა მოსწავლემ სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მეცხოველეობის ფერმაში წასვლა გადაწყვიტა.

ი. შარაბიძე.

□ **ჟოგულეთი.** ქალაქის გარეუბანს საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტომანქანის საგარანტიო-სარემონტო პუნქტი.

ო. კონცელიძე.

□ **თელავი.** დღითიდღე იზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების რიცხვი. მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევს ტანსაცმლის ქიმიური წმენდის, ღებვის და თუთრეულის რეცხვის კომბინატი.

კვირამოეწყო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მათი მეშვეობით დიასახლისს შრომა შეუმსუბუქდა.

ხ. იოსებაშვილი.

□ **ზესტაფონი.** არგვეთის მექვენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ხმირად მოდიან სტუმრად რაიონის ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

ამას წინათ მათ ფერმის ღვაწლმოსილ მუშაკებს შეხვედრა მოუწყეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ა. ფოცხვერაშვილი.

წიგნი გამოჩენილ მკურნალზე

გამოგცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ამას წინათ რუსულ ენაზე გამოსცა პროფესორ მიხ. შენგელიას მონოგრაფია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წიგნი ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების 550 წლის იუბილეს გამო გამოცემული.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი საშუალო საუკუნეების გამორჩენილი მკურნალი და მოაზროვნეა. თანამედროვეთა მიერ იგი „ბრძენმთავრად" იწოდებოდა, რაც მის დიდ ავტორიტეტსა და აღიარებას მოწმობს. ავტორის მიერ ახალი ისტორიული წყაროების მიკვლევითა და განხილვით დადგენილია მისი ბიოგრაფიის ახალი მომენტები (დასაფლავების ადგილი, ლექსიკოლოგიური ნაშრომი და სხვ.). მონოგრაფიაში მოკლედ, მაგრამ ნათლად არის ნაჩვენები, რომ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისადმე ქართულმა მედიცინამ უძველესი დროიდან (ძვ. წ. აღ. II ათასწლეულიდან) საკმაოდ მდიდარი და შინაარსიანი გზა განვლო და, ამგვარად, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის იმდროინდელ ღონმ მეცნიერული შემოქმედება სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ისტორიისათვის.

ზაზას მეტად საინტერესო ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემის შემდეგ ავტორი დეტალურად განიხილავს ზაზას „სამკურნალო წიგნის" როგორც პირველ, ისე მეორე წიგნს. ტექსტის შინაარსობრივი ანალიზი, სამკურნალოშალო საშუალებათა მრავალნაირი ფორმების განხილვა, პათოლოგიის და თერაპიის ზოგადი საკითხების, დიაგნოსტიკისა და სამკურნალო მანიპულაციების ზაზასეული გაგებათა ინტერპრეტაცია სწორ წარმოდგენას იძლევა ძველი ქართული მედიცინის ამ შესანიშნავი კლასიკოსის მეცნიერული შემოქმედების შესახებ.

გ. დევდარიანი.

1975 წლის გამარჯვებული

გაზეთ „კომუნისტის" ფოტოკონკურსის შედეგები

უეჯამებულია გაზეთ „კომუნისტის" 1975 წლის ფოტოკონკურსის შედეგები.

ჟიურიმ გადაწყვიტა პირველი პრემია არავის არ მიენიჭოს.

მეორე პრემია თვითეული 75 მანეთის ოდენობით მიენიჭათ შემდეგ ავტორებს:

ა. მითაიშვილს — ნამუშევრისათვის „ომის გამოძახილი";

ზ. დათუაშვილს — ფოტოსურათების ციკლისათვის.

მესამე პრემია თვითეული 50 მანეთის ოდენობით მიენიჭათ:

ბ. დადვაძეს — ფოტოსურათისათვის „ბაბი";

ა. ხაჯოვს — ნამუშევრისათვის „გაფრენის წინ";

ა. არაბულს — ნამუშევრისათვის „თიბათვე".

ჟიურიმ გადაწყვიტა წამახალისებელი პრემია თვითეული 30 მანეთის ოდენობით მიეცეს შემდეგ ავტორებს:

ა. გურაბაშვილს — ნამუშევრისათვის „დარიალის ვიწროებში";

შ. ჩხეტიანს — ნამუშევრისათვის „ეგზეფუტილის პირველი თვე";

გ. გიბუნიას — ნამუშევრებისათვის „მშენებლობაზე".

რედაქცია მადლობას უცხადებს ამ ავტორებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ფოტოკონკურსში, ულოცავს გამარჯვებულებს და უსურვებს შემდეგში შეშოქმედებითს წარმატებებს.



სურათებზე: პრემირებული ფოტონამუშევრები: მარცხნივ — ზემოდან: ვ. მითაიშვილი — „ომის გამოძახილი", ზ. დათუაშვილი — „ბუნების წიალში" (სურათი ფოტოსურიოდან); ზემოთ — ა. საპაკოვი — „გაფრენის წინ"; ბ. დადვაძე — „მემონტაჟე ვ. ჩოქურიო" (სურათი ფოტოსერიიდან „ბაბი"), ა. არაბული — „თიბათვე"; მარჯვნივ შუაში — გ. გიბუნია — „მშენებლობაზე", მარჯვნივ — ქვემოთ: შ. ხეტიანი — „გაზეფხულის პირველი დღე", ა. გურაბაშვილი — „დარიალის ვიწროებში".

სიახლე

ბირთვები სინათლის სიჩქარით

დუბნის ატომგულის კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში პირველად ხინათლის სიჩქარით აჩქარეს ნაზშირბადის ატომების ბირთვები. მათმა ენერგიამ ექსპერიმენტის დროს 60 მილიარდი ელექტრონვოლტი შეადგინა.

ინსტიტუტში შექმნილმა იონების ლაზერულმა წყარომ ნაზშირბადის ატომების ბირთვის მიღების საშუალება მოგვცა. ეს ატომები სრულიად მოკლებულია ელექტრონულ გარსებს. ისინი შეიყვანეს წრფივ აჩქარებელში, შემდეგ დაიჭარეს ძლავრი სინქროფაზოტრონის რგოლში. დაჩქარებული კონა გაიყვანეს ბირთვული ფოტოემულსიების ფენაში, და უკვე პირველი ცდის დროს მეცნიერებმა აღრიცხეს ემულსიის ბირთვის დაშლის დამახასიათებელი კვალი რამდენიმე ათეული დამუხტული ნაწილაკის გამოტყორცნით.

ახალი მიღწევა ფართო გზებს ხსნავს კვლევისათვის რელატივისტური ბირთვული ფიზიკის დარგში. მეცნიერებს შესაძლებლობა აქვთ ლაბორატორიულ პირობებში დააკვირდნენ მხოლოდ კოსმოსში მიმდინარე უჩვეულო ეფექტებს — სინთეზის სიჩქარით მქროლავ ბირთვებსა და ბირთვების შეჯახებას, რომლებსაც ვიგანტური ენერგიები აქვთ.

(საკდესი).

□

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 19 თებერვლის ბრძანებულებით ამბ. გიორგი პლატონის-ძე ზედგინიძე გამოთავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან თანახმად მისი თხოვნისა.

ამავე რიცხვის ბრძანებულებით ამბ. მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოვალეობისგან პენსიაზე გასვლის გამო.

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის

პაპა, 19 თებერვალი. (საკდესი). გამარჯვებული იქნება ის, ვინც პირველი მოიგებს 6 პარტიას, პარტიების რაოდენობა არ არის შეზღუდული; ყაიმები არ ითვლება; 5:5 ანგარიშის შემთხვევაში ჩემპიონი ინარნუნებს წოდებას, მაგრამ პრეტენდენტს უფლება ეძლევა ერთი წლის შემდეგ განმეორებით ეთამაშოს მას მატჩი იმავე პირობებით...

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის იმ მატჩის ასეთი რეგლამენტი, რომელიც უნდა გამართულ 1978 წლის გაზაფხულზე ანატოლი კარპოვსა და 1977 წლის პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გამარჯვებულს შორის, შეიმუშავა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც სხდომა ქქონდა ამსტერდამში. კომისია მუშაობდა ფიდეს პრეზიდენტის მაქს ეივეს თავმჯდომარეობით, მასში შედიოდნენ კარპოვი და სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიის, კუბისა და ფილიპინების საჭადრაკო ფედერაციების წარმომადგენლები. ახალი რეგლამენტი, რომელიც ერთხმად მოიწონა კომისიამ, დასაშტკიცებლად წარედგინება ფიდეს მორიგ კონგრესს. როგორც ცნობილია, მატჩის ფორმულას წინა წლებში ხშირად და გაუმართლებლად ცვლიდნენ ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონის მოთხოვნით.

ჰოლანდიის მოჭადრაკეთა საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ახალგაზრდა ჩემპიონს. პრესა, რადიო და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა დიდოსტატებს. ამსტერდამსა და ალკმარში ანატოლი კარპოვს მიესალმნენ ბურგომისტრები, საჭადრაკო კლუბების წარმომადგენლები.

კარპოვი დათანხმდა მონაწილეობა მიიღოს ამსტერდამის მატჩ-ტურნირში (13-22 მაისს) ეივეს დამდეგიბის 75 წლისთავის გამო. ამ შეჯიბრებაში გამოვლენ ავრეთვე დიდოსტატები ლუბომირ ლუბოეევიჩი (იუგოსლავია), უოლტერ ბრაუნი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ფრედრიკ ოლაფსონი (ისლანდია).

ულიანოვსკის ხალიჩაზე

გუშინ ულიანოვსკში სტარტი აიღო სსრ კავშირის პირველმა ელექტრონულ-კლასიკური სტილით ჭიდაობაში.

დღეით წარმატებით იასპარეზს ქართველმა ფალავნებმა. ჯ. მგელაძემ 2 წუთსა და 45 წამში დამარცხა კიეველი ვ. დრაგელინი. ასევე წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს თ. აფხაზავამ და ი. ბერიშვილმა. პირველმა მუგო უფელ ნ. რიაბოვს, მეორემ — ლენინგრადელ ა. ცარიოვს. თავიანთ აქტივში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს ვ. ბლაგიძემ, დ. ბაქრაძემ, რ. აბრამიშვილმა, ა. აფრიამაშვილმა და ო. ტატაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ქულებით სძლია ევროპის ჩემპიონს მოსკოველ ა. კაკაკოვს.

ავტანდილი

გუშინ 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა; წვიმდა ფოთში და სამტრედიაში. თერმომეტრი როგორც ბარში, ისე მთაში ნულს ზემოთ შესაბამისად 5-7 და 1-4 გრადუსს უჩვენებდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან უნალექო ამინდი იყო, მხოლოდ სილაღაში თოვდა. ტემპერატურა შიდა ქართლში 0-2 გრადუსი სიცივეა ინიშნა, ბარში 0-2 გრადუსი ყინვა, ხოლო მთაში — 5-10 გრადუსი ყინვა იყო.

გუშინ თბილისში 13 საათისათვის უნალექო ამინდი იდგა. თერმომეტრი 0 გრადუსს უჩვენებდა.

ღამე დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იქნება. აჭარის ზოგიერთ ადგილს წვიმა მოსდგებოდეს. ტემპერატურა ბარში 5-9 გრადუს სიცივეს, ხოლო მთაში 0-5 გრადუს სიცივეს ვარაუდობენ.

აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი კახეთის ზოგიერთ რაიონში მცირე თოვა და ნისლი იქნება. ტემპერატურა ბარში 3 გრადუს ყინვას — 2 გრადუს სიცივეს ვარაუდობენ, მთაში კი 5-10 გრადუს ყინვას.

ღამე თბილისში უნალექო ბურუსიანი ამინდია მოსალოდნელი, თერმომეტრი 0-2 გრადუს სიცივეს უჩვენებს.

გუშინ საქართველოში ყველაზე დაბალი ტემპერატურა — 10 გრადუსი ყინვა ახალქალაქში იყო, შავი ზღვის სანაპიროზე 7 გრადუსი სიცივე აღინიშნა.

სპორტის ამბები

კალათბურთი. სოფლდლოტაში გამართული ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები ყალათბურთში. თბილისის „დინამო" დიდი ანგარიშით 125:92 (61:45) დამარცხდა გათამაშების ლიდერთან მოსკოველ არმიელებთან. კიევის „სტროიტელმა" მოუგო რიგის სკა-ს 84:77 (40:37). ტარტუს „კალევამ" დამარცხა ადგილობრივი „ურალმაში" ანგარიშით — 90:77 (48:40).

ხელბურთი. ზაპოროჟიეში ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მორიგ ტურში მოსკოვის „კენტაურმ" დამარცხა ლვოვის სკა — 19:15 (7:8), ცსკა-მ — კარაგანდის უნივერსიტეტი — 31:21 (15:14). მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტმა — მინსკის სკა — 28:18 (16:9), კიევის სკა-მ — ზაპოროჟიეს ზანი — 31:18 (17:8).

ფრენბურთი. მოსკოვში გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობა ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. მოსკოვის ცსკამ-დამარცხა ხარკოვის „ლოკომოტივი" ანგარიშით — 3:1, ალმა-ათის „დინამო" — ოდესის „ჩერნომორეცი"-ს — 3:0, ლენინგრადის „ავტომობილისტმა" — რიგის „რადიოტექნიკი" — 3:0, კიევის „ლოკომოტივმა" — დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტი" — 3:2, ვოროშილოვგრადის „ზვეზდამ" — მოსკოვის „დინამო" — 3:2.

„სპორტლოტოს" ტირაჟი

„სპორტლოტო": 6 (ალაბიბურთი), 8 (კრიგი), 10 (ბუერი), 30 (აფრისნობა), 38 (შეველოსნობა), 39 (სამბო).

„სპორტლოტო-2": 4 (ალპინიზმი), 10 (ბუერი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 37 (სროლა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 49 (შაში).

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ტელევიზია

20 თებერვალი

პირველი პროგრამით

11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები". მერვე სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კონკიდან მეტრომდე", 18.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი პრეს-კონფერენცია", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ყრილობიდან ყრილობამდე" — რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ეკრანია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „მუსიკალური შეხვედრები". დასასრულ — ახალი ამბები.

ოპერა

21 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.25 — რუსეთის ლიტერატურა გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნ. ბამისაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „პარტიის ყრილობის შესახვედრად". აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ს. ობრაპიმოვის საუბარი, 12.15 — რ. გაბიჩავიძის ნაწარმოებთა კონცერტი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის" მიწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ძმაო, ძმაო სარ ძლიერი!" — აზერბაიჯანული პოეტების ლექსები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ანსამბლ „გაიას" კონცერტი, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი" (გადმოცემა ბაქოდან), 21.00 — „ძილისპირული", 21.30 — ახალგაზრდობისათვის, „როცა რედაქციაში წერილი მოდის...", 22.00 — „საღამო მშვიდობისა!", 23.30 — ქართული კამერული მუსიკა.

თეატრები

20 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **კლასიკური ბალეტების საღამო** (მე-16 აბონ. მე-4 წარმოდგენა); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **საბრალდებელ დასკვნა**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სოკრატე**, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯარში მიდის დედისერთა**, საქართველოს მინიატურების სახელმწიფო — **ფრთხილად, ქმრებო!**

ლოტარეა

სახელმწიფო ე-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 77-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1976 წლის 15 თებერვალს ქალაქ ლენინაკანში. მოგება ხვდა სესხის ორმოცდაერთმეტიოდ თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს.

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგება მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგება მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგება მანეთობით
100641	22*)	500	108031	1—50	40	119594	1—50	100
100666	22*)	500	108297	29*)	500	119735	40*)	1000
101211	49*)	500	108674	04*)	500	120543	46*)	1000
101328	1—50	40	109015	41*)	500	121294	03*)	500
101985	30*)	500	109591	38*)	500	121779	09*)	500
102760	1—50	100	109734	1—50	100	122082	1—50	100
105171	20*)	500	110191	1—50	40	122906	1—50	100
105596	24*)	500	110231	17*)	1000	123563	1—50	100
105710	10*)	1000	112583	45*)	500	124368	1—50	40
106326	24*)	500	114719	38*)	1000	124659	27*)	1000
106512	02*)	500	114842	05*)	500	124792	1—50	40
107024	06*)	500	115631	50*)	500	125291	42*)	500
107044	1—50	40	113897	09*)	1000	125956	1—50	40
107295	06*)	1000	119165	25*)	500	127089	1—50	40
107941	06*)	500	119535	29*)	500	127634	10*)	500
128131	1—50	40	143322	46*)	500	158000	04*)	500
128285	1—50	40	143365	43*)	500	160017	45*)	500
128378	10*)	500	143495	23*)	5000	161241	1—50	100
129368	16*)	500	143586	11*)	500	161796	04*)	1000
130392	02*)	500	145256	45*)	500	162830	16*)	2500
130562	1—50	40	145446	1—50	40	162915	1—50	100
131795	06*)	500	146911	1—50	100	163029	1—50	40
132875	12*)	500	147532	03*)	1000	163843	36*)	500
133150	14*)	500	147840	28*)	5000	164734	45*)	500
133160	41*)	500	147911	15*)	500	164765	1—50	100
134197	16*)	500	148175	05*)	500	165470	01*)	2500
135279	24*)	500	148600	03*)	500	166129	32*)	500
135358	1—50	40	148957	01*)	500	166699	14*)	500
135505	21*)	500	149134	24*)	500	169496	10*)	500
136160	37*)	500	149698	1—50	100	169641	1—50	40
136646	45*)	500	149974	17*)	1000	179195	27*)	2500
137093	20*)	1000	150538	1—50	40	170511	1—50	100
137418	27*)	500	150564	1—50	40	173349	26*)	500
138077	1—50	40	150623	1—50	40	173527	28*)	500
138611	33*)	500	150913	25*)	500	173656	02*)	500
139258	1—50	40	151085	26*)	500	174251	01*)	500
139668	34*)	500	151734	10*)	500	174820	08*)	500
139706	23*)	500	152145	36*)	500	175267	07*)	500
140246	41*)	500	153396	20*)	500	175506	1—50	40
140932	33*)	500	153457	26*)	500	176167	24*)	500
141177	25*)	500	153571	42*)	500	177369	20*)	500
141209	32*)	2500	153692	11*)	500	177395	09*)	500
141649	10*)	1000	154017	07*)	500	178246	1—50	40
141814	1—50	40	154197	17*)	500	178564	28*)	500
141981	1—50	40	154380	11*)	500	178755	18*)	500
141993	37*)	500	154778	21*)	1000	178800	1—50	40
142635	26*)	500	155437	1—50	40	179145	04*)	500
179984	13*)	500	187561	1—50	40	194123	14*)